ახალ კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები საერთაშორისო მოგზაურთათვის კორონავირუსის გავრცელების მაღალი რისკის ზონის ქვეყნებიდან

რა უნდა გააკეთონ მაღალი რისკის ქვეყნებიდან ჩამოსულმა მგზავრებმა ახალი კორონავირუსისგან საკუთარი და სხვების დასაცავად?

თუ მგზავრობთ მაღალი რისკის ქვეყნიდან (ჩინეთი, ირანი, იტალია, სამხრეთ კორეა) უნდა დაიცვათ ქცევისა და ჰიგიენის შემდეგი წესები:

თვითმფრინავში ყოფნისას:

- ავსებთ სპეციალური კითხვარს თქვენი მოგზაურობის ისტორიის შესახებ
- ბორტზე აუცილებელია ნიღბის ტარება, რომელიც უნდა შეიცვალოს ყოველ ორ საათში ახალი ნიღბით, ხოლო ძველი მოათავსეთ ნარჩენების პარკში
- მკაცრად დაიცავით პირადი ჰიგიენის წესები:
    - ✓ კვების წინ დაიბანეთ ხელი წყლითა და საპნით, ან გამოიყენეთ ხელის დასამუშავებელი სპირტის შემცველი ხსნარი
    - ✓ ტუალეტით სარგებლობის შემდეგ დაიბანეთ ხელი წყლითა და საპნით, ან გამოიყენეთ ხელის დასამუშავებელი სპირტის შემცველი ხსნარი
    - ✓ მოერიდეთ ახლო კონტაქტს ადამიანებთან, ვისაც აღენიშნება ცხელება და ხველა
    - ✓ მოერიდეთ ცხვირზე, თვალსა და პირზე ხელის ხშირ შეხებას

აეროპორტში:

- თქვენ გაივლით თერმულ სკრინინგს თერმოსკანერის (რომელიც შეუმჩნეველი იქნება თქვეთვის), ან დისტანციური თერმომეტრის საშუალებით;
- ასევე შემოსავლების სამსახურის ეპიდემიოლოგის მიერ შეივსება საინფორმაციო ბარათი (თქვენთან ჩაღრმავებული ინტერვიუს საშუალებით)

თუ თქვენ:

1. დაგიფიქსირდათ ტემპერატურა 37,5 და მეტი, ხველა და ამასთან ბოლო 14 დღის განმავლობაში მოგზაურობდით ვირუსის მაღალი გავრცელების ქვეყნებში, თქვენ სასწრაფო დახმარების ბრიგადის საშუალებით გადაყვანილ იქნებით ინფექციურ საავადმყოფოში, სადაც ჩაგიტარდებათ კვლევა ახალი კორონავირუსის გამოსარიცხად. ამისათვის აგიღებენ ხახის ნაცხს და გადაგზავნიან ლუგარის ლაბორატორიაში, საიდანაც არაუგვიანეს 12 სთ-ში ცნობილი იქნება კვლევის პასუხი. საავადმყოფოდან გაეწერებით დაავადების შესაბამისი კლინიკური ნიშნების არარსებობის და/ან ლაბორატორიული კვლევის შედეგების გამოსწორების შემთხვევაში.

2. თუ ტემპერატურული რეაქცია არ დაგიფიქსირდათ, მაგრამ გაქვთ სასუნთქი სისტემის მწვავე ინფექციის სხვა ნიშნები (სურდო, სისუსტე და სხვა), ამასთან, სიმპტომების დაწყებამდე 14 დღის განმავლობაში გქონდათ კონტაქტი COVID-19-ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევასთან, ან მუშაობდით ან იმყოფებოდით (ვიზიტით) ისეთ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც COVID-19-ის დადასტურებული ან სავარაუდო შემთხვევებს მკურნალობდნენ, თქვენ სასწრაფო დახმარების ბრიგადის საშუალებით გადაყვანილ იქნებით ინფექციურ საავადმყოფოში, სადაც ჩაგიტარდებათ კვლევა ახალი კორონავირუსის გამოსარიცხად. ამისათვის აგიღებენ ხახის ნაცხს და გადაგზავნიან ლუგარის ლაბორატორიაში, საიდანაც არაუგვიანეს 12 სთ-ში ცნობილი იქნება კვლევის პასუხი. საავადმყოფოდან გაეწერებით დაავადების შესაბამისი კლინიკური ნიშნების არარსებობის და/ან ლაბორატორიული კვლევის შედეგების გამოსწორების შემთხვევაში.

3. თუ ტემპერატურული რეაქცია არ დაგიფიქსირდათ, არც სასუნთქი სისტემის რაიმე ტიპის პრობლემა გიფიქსირდებათ, მაგრამ ბოლო 14 დღის განმავლობაში იმყოფებოდით კონტაქტში ინფიცირებულ პირთან და ეპიდემიოლოგების მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა თქვენი ,,კონტაქტის“ სტატუსი, ასეთ შემთხვევაში თქვენ ექვემდებარებით ორკვირიან იზოლაციას:

   ა) იმ შემთხვევაში, თუ თქვენი საცხოვრებელი ადგილი შეესაბამება თვითიზოლაციის მოთხოვნებს, შესაბამისი ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ იგზავნებით სახლში, სადაც განხორციელდება თქვენი პერიოდული კონტროლი ეპიდემიოლოგის მიერ.

   ბ) სხვა შემთხვევაში თქვენი გადაყვანა მოხდება სამინისტროს მიერ გამოყოფილ საკარანტინო ზონაში, სადაც განხორციელდება თქვენი პერიოდული კონტროლი ეპიდემიოლოგის მიერ.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დარეკოთ:

1505 (24/7 განმავლობაში) - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან ეწვიოთ ვებ-გვერდს: moh.gov.ge; https://www.facebook.com/mohgovge/

116001 (ორშაბათი-პარასკევი, 10:00-**18:00**) - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ან ეწვიოთ ვებ-გვერდს: ncdc.ge; https://www.facebook.com/ncdcgeorgia/

დაიცავით თქვენი და გარშემომყოფი ადამიანების ჯანმრთელობა!

თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანია!

გისურვებთ ჯანმრთელობას!